პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №__

2025 წლის __ ივნისი
ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე ლადიმერ ბედენაშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.12.34. 461 ფართით-3504.0კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 27 მარტის N48-4825086129 წერილი, რომელშიც აღნიშნულია,რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, მოქალაქე ლადიმერ ბედენაშვილის 2025 წლის 24 იანვრის N19/4825024174-03 განცხადება, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, თავის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.12.34.461; ფართობი-3504.0 კვ.მ) სასაფლაო ტერიტორიის დაგეგმარების პროექტის შეთანხმებას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ შეითანხმა აღნიშნული პროექტი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულის 2014 წლის 28 მარტის N11 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად ,საკრებულოს წარუდგინა შეთანხმებული პროექტი გადაწყვეტილების მისაღებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა–პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის N11 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–13 მუხლის თანახმად:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე ლადიმერ ბედენაშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე **(საკ.კოდი 29.12.34.461 ფართით-3504.0კვ.მ.)** ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

აპარატის უფროსის მ/შ მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე მ/შ. კობა გურეშიძე